საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია

მაისი, 2018

GEORGIAN EMPLOYERS ASSOCIATION

NEWSLETTER

- კერძო სექტორმა მომეტებული საფრთხის მქონე მძიმე, მავნე და საშიშპირობებიანი სამუშაოების ნუსხაზე იმსჯელა
- შრომის უსაფრთხოების გადასამზადებელი გრძელვადიანი სასერტიფიკაციო კურსის გაიხსნა
- Bitfury-ს კორპორატიული ტრენინგი სახანძრო უსაფრთხოების საკითხებზე
- დამსაქმებელთა ასოციაცია კერძო უმაღლესი სასწავლებლების ასოიაციასთან თანამშომლობას იწყებს

www.employer.ge

ბიზნეს სექტორი მომეტებული საფრთხის მქონე მძიმე, მავნე და საშიშპირობებიანი სამუშაოების ნუსხაზე იმსჯელა

ბიზნეს გაერთიანება - საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციაში კერძო სექტორმა მომეტებული საფრთხის მქონე მძიმე, მავნე და საშიშპირობებიანი სამუშაოს იმ ნუსხაზე იმსჯელა, რომელიც მთავრობამ უნდა დაამტკიცოს. კერძოდ, შრომის უსაფრთხოების ახალი კანონის მე-2 მუხლის მოთხოვნების მიხედვით კანონის ძალაში შესვლიდან 3 თვეში საქართველოს მთავრობის მიერ უნდა დამტკიცდეს მომეტებული საფრთხის მქონე მძიმე, მავნე და საშიშპირობებიანი სამუშაოების ჩამონათვალი ბიზნესთან და პროფკავშირებთან შეთანხმებით.

აღსანიშნავია, რომ შრომის უსაფრთხოების ახალი კანონი მხოლოდ ამ

ნუსხით განსაზღვრულ სფეროებზე გავრცელდება.

კერძო სექტორი შემოთავაზებული ნუსხის მთავარ ხარვეზად ასახელებ იმ ფაქტს, რომ მასში მოცემულია ბიზნეს სექტორები მაშინ, როდესაც კანონის მიხედვით განსაზღვრული უნდა იყოს კონკრეტული სამუშაო პოზიციები.

ამასთან, ბიზნეს სექტორი მიიჩნევს, რომ ამ ეტაპზე რეგლამენტირებული და სატნდარტიზებული შრომის უსაფრთხოების ნორმების არ არსებობა ბუნდოვანს ხდის იმას, თუ რაზე დაყრდნობით უნდა მოხდეს შემოწმება სახელმწიფოს მხრიდან.

“დღევანდელი მოცემულობით გამოდის, რომ სხვადასხვა უწყებას გააჩნია თითქმის

იდენტური, ერთი და იმავე სფეროს კონტროლის უფლებამოსილება. ამდენად, სამომავლოდ ჩანს ისეთი მდგომარეობა, რომ ერთ საკითხზე რამდენიმე მაკონტროლებელ ორგანოს შეეძლება მიიღოს გადაწყვეტილება ჯარიმებისა და შეჩერების შესახებაც კი“, - აცხადებს საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი მიშა კორძახია.

ეს ის ძირითადი ხარვეზებია, რომელსაც ბიზნეს სექტორი ამ ეტაპზე განიხილავს.

შეხვედრას, რომელსაც კომპანიების წარმომადგენლები ესწრებოდნენ საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის საკონფერენციო

დამსაქმებელთა ასოციაციაში შრომის უსაფრთხოების მენეჯერების გადასამზადებელი კურსი გაიხსნა

საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციაში შრომის უსაფრთხოების გადასამზადებელი გრძელვადიანი სასერტიფიკაციო კურსის გაიხსნა, რომელის ფარგლებშიც 40-მდე კომპანიის წარმომადგენელი აიმაღლებს კვალიფიკაციას.

დამსაქმებელთა ასოციაცია საქართველოში ერთადერთი ორგანიზაციაა, რომელმაც შრომის საერთაშორიო ორგანიზაციისგან (ILO) მოიპოვა ექსკლუზიური უფლება, რომ ILO-ს საერთაშორისო სატრენინგო ცენტრის მეთოდოლოგიითა და სტანდარტებით წარიმართოს სწავლება, რაც იმის შესაძლებლობას იძლევა, რომ მონაწილეებს

დასკვნითი ტესტირების შედეგად გადასცეთ საერთაშორისო ხარისხის სერტიფიკატი.

კურსის უპირატესობას წარმოადგენს არა მხოლოდ საერთაშორისო ნორმების შესაბამისად სწავლება, არამედ მასში გათვალისწინებულია ადგილობრივი რეგულაციები და ნორმატიული აქტები. ასევე, მოიცავს პრაქტიკულ სწავლებას უშუალოდ სამუშაო ობიექტებზე.

აღნიშნული გრძელვადიანი ტრენინგი, რომლის თემატიკა ასოციაციამ ამ სფეროში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილების საფუძველზე შეიმუშავა, პირველად 2017 წლის ოქტომბერ-დეკემბერში გაიმართა და იქცა ერთ-ერთ ყველაზე მოთხოვნად კურსად. თემის მიმართ ინტერესი გაძლიერდა მას შემდეგ, რაც საქართველოს მთავრობამ ევროკავშირის მოთხოვნების საფუძველზე შექმნა შრომის ინსპექტირების დეპარტამენტი და გაამკაცრა რეგულაციები ამ მიმართულებით.

საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია საქართველოში შრომის უსაფრთხოების მიმართულებით დაშვებული შეცდომებით

გამოწვეული ფატალური შედეგების გათვალისწინებით.

საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია ითვალისწინებს იმ გამოწვევებს, რომლის წინაშეც აღმოჩნდნენ კომპანიები და

აძლიერებს თანამშრომლობას კერძო სექტორთან შრომის უსაფრთხოების მიმართულებით. კეროდ, კონსულტაციების, აუდიტის, კადრების მომზადებაგადამზადებისა შედეგად ასოციაციის წევრი კომპანიები მომზადებულები შეხვდებიან ახალი რეგულაციების აღსრულებას.

ხონის ეკონომიკური განვითარების პერსპექტივის შესახებ დაინტერესებულმა მხარეებმა იმსჯელეს

ხონის საკრებულოს დარბაზში გაიმართება სამუშაო შეხვედრა, რომლის მიზანს წარმოადგენდა ხონის ეკონომიკური განვითარების პერსპექტივებზე მსჯელობა და სამომავლო გეგმების დასახვა დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით.

სამუშაო შეხვედრები/სემინარები ორ დღეს გაგრძელდა და მასში მონაწილეობას იღებდა ადგილობრივი ხელისუფლება, კომპანიების წარმომადგენლები, საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის ხელმძღვანელი პირები, გერმანელი და აზერბაიჯანელი მოწვეული ექსპერტები, სასწავლო დაწესებულებების წარმომადგენლები და მოსწავლეები.

ორდღიანი სამუშაო პროცესის ფარგლებში ხონის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების გეგმები განიხილა პროფესიული განათლებისა და სწავლების პროექტში ადგილობრივი წარმომადგენლების (სკოლები, მოსწავლეები, კომპანიები და ა.შ) ჩართვით. ამასთან, ჩართულმა მხარეებმა აზერბაიჯანიდან მოწვეულ ექსპერტთან ერთად შეადგენენ ხონის ე.წ SWOT ანალიზს, რომელიც იქნება ხონის ეკონომიკური განვითარების ტრენდების მონახაზის შექმნის მთავარი ინსტრუმენტი. აღსანიშნავია, რომ ანალიზში აქცენტი გაკეთდა პროფესიული განათლების პოპულარიზაციისა და ხელშეწყობის მიმართულებაზე,

აღსანიშნავია, რომ ხონის მუნიციპალიტეტის ხელისუფლება აქტიურად თანამშრომლობს საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციასთან, რომლის შედეგადაც რეგიონში სხვადასხვა პროექტის განცორციელებაა დაგეგმილი.

Bitfury-ს კორპორატიული ტრენინგი სახანძრო უსაფრთხოების საკითხებზე

Bitfury ჯგუფის თანამშრომლებისთვის საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციაში

სახანძრო უსაფრთხოების თემაზე ტრენინგი გაიმართა.

ტრენინგ პროგრამის პრაქტიკული და თეორიული ნაწილი სამუშაო ადგილზე სახანძრო უსაფრთხოების, ხანძარსაწინააღმდეგო სწავლებებს და ქმედებების განსაკუთრებულობას, რისკებსა და საფრთხეებს, ხანძარსაწინააღმდეგო გეგმას, ცეცხლმაქრთა ტიპებს, სახეობებს და ამ მხრივ საკანონმდებლო მოთხოვნებს მოიცავდა.

ტრენინგ პროგრამა შრომის უსაფრთხოების შესახებ მოქმედი ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების საფუძველზეა შემუშავებული და მისი გავლა ერთგვარი მოსამზადებელი ეტაპია იმისთვის, რომ კომპანიებმა დაიცვან სახანძრო უსაფრთხოების შესაბამისი წესები და მოთხოვნები.

ტრენინგს საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი მიშა კორძახია უძღვებოდა. ტრენინგის დასასრულს

ჩინეთის საერთაშორისო ვაჭრობის ხელშეწყობის საბჭოს წარმომადგენლებთან შეხვედრა

საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციაში სამუშაო ვიზიტით ჩინეთის საერთაშორისო ვაჭრობის ხელშეწყობის საბჭოს წარმომადგენელი დელეგაცია იმყოფებოდა.

შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა მხარეების გაცნობა, მათი საქმიანობისა და სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივების განსაზღვრა. ჩინეთთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულების ამოქმედების შემდეგ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახდა სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავება.

ამრიგად, საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის მიერ პარტნიორული ურთიერთობების დამყარება პირდაპირ აისახება წევრი კომპანიების ბიზნეს საქმიანობის არეალის გაფართოებაზე.



დამსაქმებელთა ასოციაცია კერძო უმაღლესი სასწავლებლების ასოიაციასთან თანამშომლობას იწყებს

საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციასა და კერძო უმაღლესი სასწავლებლების ასოციაციას შორის ურთიერთთანამშრომლობის შესახებ მემორნდუმი გაფორმდა.

მხარეები მემორანდუმის ფარგლებში ითანამშრომლებენ საგანმანათლებლო აქტივობების ხელშეწყობისთვის; რაც გულისხმობს შრომის ბაზრის ერთობლივ მიზნობრივ კვლევას; საკანონმდებლო ინიციატივების პროცესში ურთიერთჩართულობას; ასოციაციის წევრი უნივერსიტეტების კურსდამამთავრებელთა სტაჟირების და სასწავლო პრაქტიკის ორგანიზებაში დახმარების გაწევას; საგრანტო პროექტებში თანამონაწილეობას; საერთაშორისო პარტნიორების ქსელის გაფართოების საქმეში ხელშეწყობას; ზრდასრულთა განათლების მიმართულებით ერთობლივი ტრეინინგების ორგანიზებას; პროფორიენტაციის მოდულ-კურსების საპილოტე რეჟიმში განხორციელებას ასოციაციის საბაზისო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში; დროის გამოწვევების შესაბამისად დეფიციტურ პროცესებში საავტორო აკადემიური პროგრამების ერთობლივად შემუშავება და აკრედიტაციას;

შრომის ბაზრის მოთხოვნა-მიწოდებას შორის არსებული დისბალანსით გამოწვეული პრობლემების აქტუალურობის გათვალისწინებით ბიზნეს გაერთიანება - საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია მჭიდროდ თანამშრომლობს სასწავლო დაწესებულებებთან. დამსაქმებელთა ასოციაციის პოლიტიკა მიზნად ისახავს მაქსიმალურად ხელი შეუწყოს ბიზნეს სექტორის სასწავლო დაწესებულებეთან დაახლოებას, როგორც პროფესიული ისე უმაღლესი განათლების მიმართულებით.

მძიმე, მავნე და საშიშპირობებიანი სამუშაოების ნუსხაზე სოციალურმა პარტნიორებმა იმსჯელეს

მძიმე, მავნე და საშიშპირობებიანი სამუშაოების ნუსხის შესახებ სოციალურმა პარტნიორებმა საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის საკონფერენციო დარბაზში იმსჯელეს.

შეხვედრას ესწრებოდნენ ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე თამარ ბარკალაია,

ჯანდაცვის სამინისტროს შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი ელზა ჯგერენაია, შრომის ინსპექტირების დეპარტამენტის უფროსი ბექა ფერაძე, იუსტიციისა და ეკონომიკის სამინისტროების წარმომადგენლები, ბიზნეს სექტორი დამსაქმებელთა ასოციაციისა და საქართველოს ბიზნეს ასოციაციის სახით და პროფკავშირები.

სამუშაო ჯგუფის შეხვედრაზე მსჯელობის მთავარ საკითხს წარმოადგენდა იმ მძიმე, მავნე და საშიშპირობებიანი ნუსხის სოციალურ პარტნიორებს შორის შეთანხმება, რომელიც მთავრობამ უნდა დაამტკიცოს. კერძოდ, შრომის უსაფრთხოების ახალი კანონის მე-2 მუხლის მოთხოვნების მიხედვით კანონის ძალაში შესვლიდან 3 თვეში საქართველოს მთავრობის მიერ უნდა დამტკიცდეს იმ სამუშაოების ჩამონათვალი, რომელზეც კანონის მოქმედება გავრცელდება.

სამინისტროს მიერ შემოთავაზებული ნუსხის შესახებ მსჯელობა საკმაოდ მწვავე კამათის პირობებში გაიმართა და ვერ მოხდა მისი დამტკიცება. მთავარი პრობლემა, რომელსაც ბიზნეს სექტორი შემოთავაზებულ ნუსხაში ხედავს არის ის, რომ ჩამონათვალი არის ზოგადი ხასიათის და მოითხოვს მეტ კონკრეტიკას აღსრულების პროცესში მოსალოდნელი ორაზროვნების გამოსარიცხად. ამასთან, ბიზნეს სექტორის მხრიდან წამოსული მოთხოვნა, რომ ნუსხაში განისაზღვროს არა სექტორები, არამედ სამუშაო პოზიციები, არ დაკმაყოფილდა და მხარეები ამ ეტაპზე შეთანხმდნენ, რომ შემოთავაზებული სფეროების კონკრეტიკაზე იმუშავებს სამინისტრო უახლოესი დღეების

განმავლობაში.

განახლებული ნუსხის შესახებ მსჯელობა მომდევნო კვირაში კვლავ გაიმართება სოციალურ პარტნიორებს შორის.

საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია

მის.: თბილისი, ა. ზელიაშვილის ქ. 106

ტელ.: +995 32 2 14 73 73

მობ.: +995 579 555 551

ელ-ფოსტა: EMPLOYER@EMPLOYER.GE

WWW.EMPLOYER.GE